KA030522646257319

№ 6094 **29 / მარტი / 2019 წ.**

დასკვნა

მიმდინარე წლის 25 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზზე (1505) შემოვიდა სატელეფონო შეტყობინება, რომ დედა ტერეზას მოწყალების სახლის თავშესაფარში მოქალაქე მიიყვანა დედა - ლილი გადელია (დაბ.15.05.1930წ. პ/ნ 62001017594) და დატოვა. მშობლის მიტოვების მიზეზად დაასახელა ეკონომიკური სიდუხჭირე და უსახლკარობა. მომართვის საფუძველზე განხორციელდა ვიზიტი აღნიშნულ თავშესაფარში. ვიზიტისას გაირკვა, რომ ქალბატონი ლილი არის დევნილი აფხაზეთიდან, ცხოვრობდა ქირით, დღეის მდგომარეობით არაქვს თავშესაფარი. ლილი გადელიას ჰყავს ერთი შვილი, რომელიც ცხოვრობს ქირით მეგობართან ერთად. ქალბატონი ლილის გადმოცემით, მისი შვილი არ მუშაობს და არაქვს შემოსავალი. იგი ცხოვრობს მეგობართან ერთად, რომელთან ერთადაც ცხოვრება არ უნდა მას. ლილი გადელიას იმედი აქვს, რომ როგორც დევნილი მიიღებს საცხოვრებელ სახლს. ქალბატონმა ლილიმ აღნიშნა, რომ ჰყავს 5 შვილიშვილი, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე და მათთან კონტაქტი არა აქვს. მისივე გადმოცემით, წლების განმავლობაში ის ცხოვრობდა ნათესავებთან, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ იტალიაში. თავშესაფრის თანამშრომლის გადმოცემით, ლილი გადელია მათთან შვილმა მიიყვანა 2018 წლის ნოემბერშიც. ქალბატონი ლილი მათთან ცხოვრობდა გარკვეული პერიოდი, მერე ისევ გაიყვანა შვილმა და 25 მარტს ისევ დააბრუნა. მოწყალების და აღნიშნა, რომ პირველი შემოყვანის დროს ლილი გადელიას ჩაუტარეს გამოკვლევები კამილიელების დახმარებით, ამ ეტაპზე ის ექიმთან არყოლიათ. თავშესაფრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, რადგან დედა ტერეზას თავშესაფარი ემსახურება, მხოლოდ მარტოხელა ადამიანებს და ვინაიდან ლილი გადელიას ჰყავს შვილი, ისინი ვერ შეძლებენ მის თავშესაფარში დატოვებას. ისინი თანახმანი არიან მიმდინარე კვირის ბოლომდე დარჩეს ლილი გადელია მათთან. ქალბატონ ლილის ამ თავშესაფარში დარჩენის სურვილი აქვს, თუმცა რადგან მოწყალების დები არ აძლევენ ამის საშუალებას, თანახმაა ჩაირიცხოს თბილისში მდებარე რომელიმე სათემო ორგანიზაციაში. ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ ლილი გადელიას ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია. იგი ადექვატურად პასუხობს შეკითხვებს, აქვს თვითმოვლის უნარ-ჩვევები, არის კომუნიკაბელური. იგი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა შეადგენს 26030-ს.

ვინაიდან, დედა ტერეზას თავშესაფარში ლილი გადელიას დარჩენის საშუალება აქვს, მხოლოდ მიმდინარე კვირის შაბათამდე, იკვეთება სათემო ორგანიზაციაში გადაუდებლად ჩარიცხვის საჭიროება.

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

თბილისის სოციალური მომსახურების
საქალაქო ცენტრის სოციალური მუშაკის
მოვალეობის შემსრულებელი

ეკა ევსტაფიშვილი